ხაშურის მოამბე

№15 (486) 28 აპრილი, ორშაბათი, 2025 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

22 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულომ მხარი დაუჭირა განკარგულების პროექტს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.

განკარგულების მიღების საფუძველს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დარეგისტრირებული ქ. ხაშურში მცხოვრები მოქალაქეების პეტიცია, სადაც მათ მიერ მოთხოვნილია, არ გაიცეს მშენებლობის ნებართვა ქ. ხაშურში, შოთა რუსთაველის ქ. N62-ში (ს/კ 69/08/63/549), „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ საკუთრებაში არსებულ მიწის ფართზე.

პეტიციის განხილვის შემდგომი პროცედურების განხორციელების, საკითხის ობიექტურად და სრულყოფილად შესწავლის მიზნით, შეიქმნა საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც საბოლოო დასკვნას წარუდგენს საკრებულოს.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, დროებითი სამუშაო ჯგუფი იმუშავებს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

ვრცლად სხდომის მასალები იხილეთ საკრებულოს ვებგვერდზე: Khashuri.org.

ge

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ვეფხია ბლიაძესთან და ა(ა)იპ სამსახურების

წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაოები დაათვალიერა.

„მშენებლობის მესამე ეტაპის ფარგლებში ეწყობა კალათბურთის, ჩოგბურთისა და ფეხბურთის მოედნები, დამონტაჟდება გარე გამოყენების ტრენაჟორები. იქნება სივრცე საქორწინო ხელმოწერის ცერემონიებისთვის. დაირგვება უამრავი მწვანე ნარგავი, რაც მეტ ხიბლს შემატებს აქაურობას.

ზემო სერის ტყე-პარკის განვითარება ამით არ სრულდება, იგეგმება მეოთხე ეტაპი, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა ადმინისტრაციული შენობა, დაემატება საბავშვო ატრაქციონები, ადგილობრივი მეწარმეებისათვის საგამოფენო პავილიონი, ეროვნული თემატიკის პერსონაჟების სკულპტურები, ქართული ანბანის მონუმენტი, საფეხმავლო, განათებული ბეტონის (გზა) ბილიკი ქიმერიძეების უბნიდან, რომელიც დაუკავშირდება

ზემო სერის ტყე-პარკს და აგრეთვე, წელს დაიწყება და დასრულდება ზემო სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის რკინა- ბეტონით მშენებლობა. “-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა.

პროექტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს.

თბილისში, საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის მორიგი - XVII საანგარიში-საარჩევნო ყრილობა გაიმართა

ყრილობაზე, სრული უმრავლესობით, მომდევნო ოთხი წლის ვადით კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გელა გელაშვილი, გამგეობის 12 წევრი და საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრები.

ყრილობაზე, პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის 5 პროფმუშაკს პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

პროფკავშირის 7,500-მდე წევრის მიერ, კრებებსა და კონფერენციებზე არჩეული 126 დელეგატიდან ყრილობას ესწრებოდა 111 დელეგატი, (მათ შორის, ხაშურის მუნიციპალიტეტიდან) გამგეობის წევრები, საკონტროლო-სარევიზიო კომისია და მოწვეული სტუმრები.

აგრეთვე ყრილობის მუშაობაში, მონაწილეობა მიიღეს 7 სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორი ოეგანიზაციებისა და კონფედერაციების წევრ დელეგაციებმა, რომლებმაც საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის მიმართ გამოხატეს სრული მხარდაჭერა სამომავლო საქმიანობაში წარმატებების მისაღწევად და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულ კავშირს საერთაშორისო პროფკავშირების წევრ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უკავია.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი 120 წლის ისტორიის მანძილზე, მუდმივად იდგა და აგრძელებს რკინიგზელთა გვერდით დგომას, ზრუნავს მათი უფლებების დაცვაზე და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე, ლოიალურობის ამაღლებასა და მათთვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე.

ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და გადამუშავების მნიშვნელობა

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც გარემოს დაბინძურება და მისგან მომდინარე გამოწვევები მზარდი პრობლემაა, ნარჩენების მართვა კრიტიკულ საკითხად იქცა. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემცირებისა და ბუნებრივი რესურსების დაზოგვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა **ნარჩენების სეპარირებული (განცალკევებული) შეგროვება და მისი გადამუშავებაა.** ნარჩენების პლასტიკად, ქაღალდად, ორგანულ მასალად თუ სხვა ფრაქციებად დახარისხება აუცილებელია მათი ეფექტიანი გადამუშავებისთვის, რის შედეგადაც, ნაცვლად იმისა, რომ ეს ნარჩენები ნაგავსაყრელზე მოხვდეს ან გარემო დააზიანოს, ხდება მათი წარმოებაში დაბრუნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და გადამუშავება არა მხოლოდ ამცირებს ნარჩენების რაოდენობას ნაგავსაყრლებზე, არამედ ამცირებს ახალი ნედლეულის საჭიროებას. ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და გადამუშავება, აგრეთვე, იცავს წყალსა და ნიადაგს დაბინძურებისგან, ხელს უწყობს ენერგიის დაზოგვას და ამცირებს სათბურის აირების გამოყოფას.

ერთი ტონა ქაღალდის გადამუშავება იცავს 17 ხეს, ხოლო ალუმინის გადამუშავება მოითხოვს 95%-ით ნაკლებ ენერგიას, ვიდრე ახალი მეტალის წარმოება.

რატომ უნდა შევაგროვოთ პლასტიკის ნარჩენები სეპარირებულად - პლასტიკის ნარჩენების მართვა, მათი რაოდენობიდან გამომდინარე, დღესდღეობით ერთ-ერთ გლობალურ გარემოსდაცვით გამოწვევას წარმოადგენს. ყოველწლიურად მსოფლიო 300-დან 400 მილიონ ტონამდე პლასტიკის ნაწარმს მოიხმარს, რომელთა უდიდესი ნაწილი ნაგავსაყრელზე ხვდება.

კვლევების თანახმად, 2020 წელს, საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული პლასტიკის მასალებისა და პროდუქტების წლიურმა რაოდენობამ 180 900 ტონა შეადგინა, საიდანაც 93% (168,300 ტონა) გადაიქცევა ნარჩენად, აქედან 22%-ი არის ე.წ. PET ბოთლები (პლასტიკის ბოთლები, რომლებშიც ჩამოსხმულია წყალი, გამაგრილებელი და სხვა სახის სასმელები), 44% პოლიეთილენის, პროლიპროპილენის პარკები და ტომრები, 27% კი სხვა პლასტიკის ნარჩენები. ნაგავსაყრელებზე, მუნიციპალურ შერეულ ნარჩენებთან ერთად, ყოველწლიურად, 132 000 ტონამდე პლასტიკის ნარჩენი ხვდება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაცემებით კი პლასტიკი მუნიციპალური ნარჩენების 15,24%-ს შეადგენს.

პლასტიკის ბოთლის სრულად დასაშლელად დაახლოებით 450 წელია საჭირო, ხოლო ამ პროცესში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები შეუქცევად ზიანს აყენებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას.

ამ ერთ-ერთ უდიდეს გარემოსდაცვით პრობლემასთან ბრძოლაში გამოსავალი რეციკლირებაშია, რაც მოიცავს პლასტიკის ნარჩენების განცალკევებით შეგროვებას (სეპარირებას), გადამუშვებასა და დაბრუნებას წარმოების ციკლში. გადამუშავებული პლასტიკის გამოყენება არაერთ ინდუსტრიაში წარმატებითაა შესაძლებელი.

26 ცალი გადამუშავებული პლასტიკის ბოთლი უდრის ერთ პოლიესტერის პიჯაკს, ხუთი გადამუშავებული ბოთლი კი საკმარისია სათხილამურო ქურთუკის ბოჭკოვანი შემავსებლისათვის.

რატომ არის რეციკლირება გონივრული გამოსავალი - იზრდება ნაგავსაყრელების ექსპლუატაციის ვადა, რადგან იქ უკვე ნაკლები რაოდენობის ნარჩენი ხვდება; მცირდება გარემოს (ნიადაგის, წყლის და ჰაერის) დაბინძურება და, შესაბამისად, მცირდება ადამიანების ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება; იზოგება ბუნებრივი რესურსები, და ბოლოს, ნარჩენებისგან სასარგებლო მასალის განცალკევებისა და გადამუშავებისთვის იქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

საქართველო ისწრაფვის, გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, პლასტიკის რეციკლირების მინიმალურმა მაჩვენებელმა 2026 წლისთვის 50%, ხოლო 2030 წლისთვის 80% უნდა შეადგინოს. ცხადია, აღნიშნული სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევაა საჭირო, როგორც მუნიციპალიტეტების,

ისე თითოეული მოქალაქის მხრიდან.

როგორ შეუძლია მოსახლეობას ჩაერთოს პლასტიკის რეციკლირებაში - გამოყენებული პლასტიკის ბოთლები უნდა შეგროვდეს ცალკე, სუფთა მდგომარეობაში და მოთავსდეს მხოლოდ ამ ტიპის ნარჩენისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ქუჩებში, კერძოდ კი დაბა სურამში, უახლოეს მომავალში გამოჩნდება. შეგროვებულ პლასტიკს მუნიციპალიტეტი გადასცემს გადამამუშავებელ საწარმოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. საწარმოში მოხვედრილი პლასტიკი გადამაუშვდება და იქცევა პოლიმერულ ფანტელად. ამ ნედლეულს კი სხვადასხვა წარმოებაში გამოიყენებენ კომპანიები. შესაბამისად, ნაგავსაყრელზე მოხვედრის, დაშლის 450 წლიანი პროცესის და გარემოსთვისა და ადამიანებისთვის ზიანის მიყენების ნაცვლად, პლასტიკი ახალ სიცოცხლეს შეიძენს სხვადასხვა ინდუსტრიაში.

საქართველოში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვის მხარდაჭერის პროექტს ახორციელებს ქართული გარემოსდაცვითი კომპანია „ჯეო აუთლუქი“ (GEO Outlook), სლოვაკეთის გარემოსდაცვითი სააგენტოსა და SlovakAid-ის მხარდაჭერითა და ხაშურის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით.

გარემოსდაცვითი საკონსულტაციო
კომპანია „ჯეო აუთლუქი“

ხაშურის მუზეუმში მიხეილ მურვანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელი მიხეილ მათიაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მანანა აბაზაძე, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს, მუნიციპალური ა(ა)იპ ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლები, მიხეილ მურვანიშვილის შთამომავლები.

წიგნში, რომელიც გამოსაცემად მოამზადა მზია ლობჟანიძემ, წარმოდგენილია საქართველოს ბუნების ამაგდარის, ქართველი მეტყევის, საქართველოში ტყის გაშენების ერთ-ერთი ორგანიზატორის, ტყეების დაცვის საქმის დიდი ენთუზიასტის, საზოგადო მოღვაწის - მიხეილ მურვანიშვილის ცხოვრება და ღვაწლი საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუციებში, მათ შორის ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საარქივო მასალებისა და ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული წერილებისა და სტატიების გამოყენებით.

წიგნში გამოქვეყნებულია საინტერესო ფოტომასალა, რომელიც, ბიოგრაფიულ მასალებთან ერთად, გამოცემაზე მომუშავე ჯგუფს მიხეილ მურვანიშვილის ოჯახმა მიაწოდა.

გამოცემის კონსულტანტია თამაზ ლაცაბიძე, რედაქტორი - მაყვალა ხაჩიძე. წიგნი გამოიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13).

ნაშვავები - ადგილი.
ნეძვის გადასახედი - ადგილი სამხრეთის მხარეს.
ნიკორტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.
ნიკოს ახო - ადგ., სახნავი. ,,ახლა ტყეა. ნიკო ტაბატაძის იყო”.
პავლეს სათივე - ადგ., საძოვარი, სათიბი სამხრეთის მხარეს.
პატარა ბრაგუნა - ადგ., ტყე. მინდორი სამხრეთის მხარეს.
პატარა ქარტა - ადგ., მთა სამხრეთის მხარეს.
რიყეები - ადგ., საძოვარი.
საბლიაძო - ადგ., სათესი.
სათივე - ადგ; იგივეა, რაც პატარა ბრაგუნა.

სათივის წყარო - ადგ; წყარო სამხრეთის მხარეს. ,,მთაშია, ძალიან ცივი წყალია”.

სათქიფინო - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს. ,,სიჩქარით მოჰყავთ საქონელი, ურემი და ამიტომ ვეძახით”.

სასოფლო გზა - ადგ., გზა. გრიგალაშვილებს შორის 1939 წლის 2 მაისის გაყრის განაჩენით თედო ზაქარიას ძე გრიგალაშვილის ვენახის დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარის საზღვარი .

სვანის თავი//სვნისთავი - ადგ., ტყე, საძოვარი, წყარო, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ხეებს ყრიდნენ და დაერქვა სვანის თავი”.

სოლოს ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.
ტაბატაძეების უბანი - ადგ., უბანი სოფლის ცენტრში.

უღელტეხილი - ადგ., გზა სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ამბული და უღელტეხილი ერთმანეთს უერთდება. ისეთი თავქვე არის, რომ მორები გაკრავდა თუ არა უღელს, უღელი მაშინვე ტყდებოდა”.

ფიდოს ახო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს, ,,ფიდო ჩადუნელი იყო“.

ქარტის ძირი - ადგ., ტყე, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,მთაშია, ბრაგუნიდან ადის გზა”.

ღამურას კლდე - ადგ., კლდე, გამოქვბული. სამხრეთის მხარეს.

ღამურას გამოქვაბული - იგივეა, რაც ღამურას კლდე.

ღვთისმშობელი - ადგ., სალოცავი სამხრეთის მხარეს.

ღვთისმშობლის სერი - ადგ., სერი სამხრეთ-არმოსავლეთის მხარეს სოფლის თავში, ღვთისმშობლის ეკლესიასთან ახლოს.

ღვთისმშობლის ღელე - ადგ., ღელე, ჩამოედინება სოფელში, გამოდის ნიკრტყიდან, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთის ფერდობებიდან, ერთვის მტკვარს. ღორღი ტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,დიდი კლდეებია”.

ყლარტბა - ადგ., ტბა აღმოსავლეთის მხარეს. ,,მყრალი ტბაა”.

ჩადუნელების უბანი - უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში.

ცხინვალვაკე - ადგ., ადგილი.

წიფლარი//წიფლნარი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს, სოფლის თავში. `წიფელაა მეტი წილი”.

წიფლნარის ტყე - ადგ; იგივეა რაც წიფლნარი.
წყაროს ვენახი - ადგ., ვენახი. გიორგი და სერგო ივანეს ძე ბლიაძეებსა და დედის-პოლუშკას შორის, 1938 წლის 15 დეკემბრის გაყრის განაჩენით, ერგო ძმებს /.

ჭალა//ჭალები - საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

ჭალის საბოსტნე - ადგ., სათესი. გიორგი და სერგო ივანეს ძე ბლიაძეებსა და დედის-პოლუშკას შორის, 1938 წლის 15 დეკემბრის გაყრის განაჩენით, სერგო პოლუშკა ბლიაძეს .

ჭაობები - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ჭობებია და იმიტომ ვეძახით”.

ხაჩიძეების უბანი - ადგ., უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში.
ჯვართმუხის სერი - ადგ., სერი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, სოფლის თავში.

ჯვართმუხის უღელტეხილი - ადგ., მთა, გადმოსასვლელი თაგვეთში.

სოფელი კ ო დ ი ს წ ყ ა რ ო

ახოების სვანი - ადგ., სვანი სამხრეთის მხარეს.

ბერუას ქოხი - ადგილი სამხრეთის მხარეს. `ბერუა ხაჩიძე იყო, ქოხი დაუდგამს, თავი, რომ შეეფარებინა”.

ბუკიას წყარო - ადგ., წყარო.

გვერდოს მიწები - ადგ., ახნავი ჩრდილოეთი მხარეს. ,,კურტანიძეებს ეკუთვნოდა, ახლა საძოვარია”.

გიგოლას გზა - ადგ., გზა სამხრეთის მხარეს. `გიგოლა გელაშვილი იყო”. გუდაძის გზა - გზა სამხრეთის მხარეს. `ტყეში შესასვლელი გზა იყო, ახლა აღარ ჩანს”.

დამპალა - ადგ., ნასოფლარი აღმოსავლეთის მხარეს. `ჭაობიანი, ნესტინი ადგილია. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, რომ ააშენეს შემდეგ დაერქვა სოფელს ქაშვეთი”.

დამპალას ვენახი - ადგ., ვენახი. გაბო და ვასილ პავლეს ძე ნოზაძეებს შორის 1939 წლის 25 დეკემბრი გაყრის განაჩენით გაბრო ნოზაძეს ერგო ,,... დამპალას ვენახიდან ნახევარი აღმოსავლეთის მხარეს”.

დამპალას ფარდი - ადგ., ვენახი. ნოზაძეებს შორის, 1935 წლის 25 დეკემბრის გაყრის განაჩენით, ვასილ გაროს ძე ნოზაძეს ერგო ,,...ვენხი დამპალას ფარდში ნახევარი დასავლეთის მახრეს” .

სინო სოსიკოს ძეE ნოზაძის და მისი შვილების - ნიკალა, ვიქტორ, ლუბა, თაფლო და ეთერ ნოზაძეს ერგო ,,ვენახი დამპალას ფრდში ნიკალას გვერძე მეოთხედი” .

დიდფერდა - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს

დიმიტრის ახო - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს, დიმიტრის წყაროსთან.

დიმიტრის წყრო - ადგ., წყარო დასავლეთის მხრაეს. `აქ ადრე მინდორი იყო, ახლა ტყეა”.

დუბე - ადგ., სათესი. გაბრო და ვასილ პავლეს ძე ნოზაძეებს შორის, 1939 წლის 25 დეკემბრის გაყრის განაჩენით, “გაბრო ნოზაძეს ერგო “ბაღი დუბეში მთლიანად”.

ეკლესიი მიწები - ადგ., სახნავი სმხრეთის მხარეს, ნაეკლესიართან.

ვაკენარუჯი - ადგ., სათესი

ილიას სვანი - ადგ., სვანი სამხრეთის მხარეს. “კამეჩები გადმოუვარდა ილია ნოზაძეს და ამიტომ შეარქვეს”.

კალოს ბაღი - ადგ., სათესი. ნოზაძეებს შორის, 1947 წლის 25 ნოემბრის გაყრის განაჩენით, ნიკალა სინოს ძე ნოზაძეს ერგო ,,კალოს ბაღი მეოთხედი” .

კოდიწყაროს ტბა - ადგ., ტბა სამხრეთის მხარეს.

კოდის წყალი - ადგ., წყარო სოფლის ცენტრში.

კორომები - ადგ., ტყე.

კურტანიძეების ნაქერალი - ადგილი სამხრეთის მხარეს.

კურტანიძეეის უბანი - ადგ; უბანი სოფლის ცენტრში წყაროსთან.

მარიამის წყარო - ადგ. წყარო სამხრეთის მხარეს

მემცხვრისთავი - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს, ნარუჯის მიწების სამხრეთით. ,,ვაკე ადგილია, ციცქიშვილებს ეკუთვნოდა. შეიძლება, ვიღაც მეცხვარე იყო დასაფლავებული აქ და ამიტომ შეარქვეს, ჩემი მოსაზრებით გეუბნებით”.

მიხასეული ვენახი - ადგ., ვენახი. კურტანიძეებს შორის, 1938 წლი 17 აგვისტოს გაყრის განაჩენით, შალვა სინოს ძე კურტანიძეს ,,ერგო მიხასეული ვენახი და პატარა ვენახი”.

მოცვისფერდა - ადგილი

ნაგუთის მიწები//ნაგუთნი - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. `გუთნით მოხნული. ტყე, რომ გაჩეხეს, დაწვეს, შემდეგ გუთნით მოხნეს”.

ნაკალოვარი - ადგილი სამხრეთის მხარეს. `დღე კალოები ჰქონებიათ. ჩემს მახსოვრობაში საქონლის საძოვარი იყო”.

ნარუჯის მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ადრე იყო ტყე. გადაწვეს და გაირუჯა”. `ტყე, რომ გაჩეხეს, შემდეგ დაწვეს, გადაირუჯა და დაარქვეს ნარუჯის მიწები”. ნაქერალი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,სახნავი იყო ადრე, ახლა ტყე არის გაშენებული. ადრე ქერს თესდნენ”.

ნოზაძეების სათივე - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს.

ნოზაძეების უბანი - ადგ., უბანი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ნოზაძეების წყარო - ადგ., წყარო ნოზაძეების უბანში.

პანტის მიწა - ადგ., სათესი.

პეპულას ახო - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,პეპულა ხაჩიძეს ახო იყო”.

პაპულას სათივე - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,თივა გაუთიბია პეპულას”.

საბაშიო - იგივეა, რაც საამილახვროს ტყე.

საამილახვროს ტყე - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ამილახვრებს ეკუთვნოდა. საბაშიოსაც ეძახდნენ”.

სათივე - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ვაკე ადგილია ტყეში”.

სამკლის სერი - ადგ., იგივეა, რაც სამგლის სერი.

სამგლის სერი - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ტბის გარშემო მიწებია. ახლა საძოვარია”. ,,გადმოცემით, მგლები გადმოდგებოდნენ სერზე და ყმუოდნენ. ამიტომ დაარქვეს ეს სახელი”.

სანახშირე - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,მთაშია, ნახშირს სწვავდნენ”. საჩქეფის ღელე - ღელე დასავლეთის მხარეს. ,,კლდეზე ერთ ალაგას ისე გადმოდის, რომ ჩქეფავს და ამიტომ უძახიან”.

სამრეკლოს სერი - ადგ., სათესი.

სანახშირე - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,მთაშია, ნახშირს სწვავდნენ”.
საჩქეფის ღელე - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. ,,კლდეზე ერთ ალაგას ისე გადმოდის, რომ ჩქეფავს და ამიტომ უძახიან”.

საჩქეფი - ადგ., ღელე, იგივეა, რაც საჩქეფის ღელე, სახელმწიფო მთის ძირში.

სვანის თავი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

სახელმწიფო სვანი - ადგ., სვანი სამხრეთის მხარეს.

სახელმწიფოს ღელე//ღორინამკლის ღელე - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. სახელმწიფო ტყე - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,სახელმწიფო ღელეს გადმოღმა, აღმოსავლეთით, ტყე ციციშვილებს ეკუთვნოდა, გაღმა, დასავლეთით – ამილახვრებს. რაც დარჩენილი იყო, იმას ერქვა სახელმწიფო ტყე”. საჯვარე - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,ნაეკლესიებია. მე არ მახსოვს აქ ეკლესი, ნანგრევები იყო. გადმოცემით, ნოზაძეების იყო ეკლესია, მათი სალოცავი იყო”.

ტატიშვილის წყარო//ტატიანას წყარო -ადგ., წყარო სამხრეთ-დასავლეთის მხარეს სვანის თავის დაბლა. ,,ტატიშვილი ყაჩაღი იყო, ადრე. იმან გააკეთა ეს წყარო”. `დიდფერდას ღელეს გაღმა არის. ტატიშვილი ყოფილა ხცისში მაცხოვრებელი, თუ არ ვცდები. წითელრაზმელებს მოუტაციათ ტატიშვილი, მოუყვანიათ და უთქვამთ: -წყალი დალიეო. როცა დაეყუდა წყალს, უკნიდან ესროლეს და მოკლეს ზედვე. ჩუმად დაასაფლავეს. ტატიშვილის გამო კინაღამ გადაწვეს სოფელი. ამის შემდეგ შეერქვა ტატიშვილის წყარო, მანამ რა ერქვა არ ვიცი”.

ტბის მიწები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს, კოდისწყაროს ტბის გარშემო.

ტბის ფერდი - ადგ., ტყე.

ტრიალა - ადგილი ჩრილოეთის მხარეს. ,,აქ ცხოვრობდნენ კურტანიძეეი. ადრე სახნავი ჰქონდათ კურტანიძეებს და ხაჩიძეებს. აქ მტკვარი ტრიალებს, ახლაც ტრიალას ვეძახით”.

ურთხვნალის ღელე - ადგ., ღელე სამხრეთის მხარეს. ,,ურთხვის ხეები ყოფილა ბევრი უწინ. ახლაც არის პატარა ურთხვის ხეები”.

ფერდა - ადგ., მინდორი, ტყე სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი გვქონდა. დაბლა მინდორია, მაღლა ტყე”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ მიმდინარე წლის I კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად, გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2025 წლის I კვარტალში - წიაღის ეროვნული სააგენტოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე შემოსულია 3 მომართვა, უარი-2, 1 მომართვა მოკვლევაშია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია 7 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ, კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, მომზადდა თანხმობის 1 პროექტი. 1 პროექტი განხილვის პროცესშია.

ყოველი წლის არა უგვიანეს თებერვლამდე საკრებულოს სხდომაზე ვიღებთ ახალ დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2025 წლის I კვარტალში -ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ- მოძრავი ქონება სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაეცა შემდეგ ა(ა)იპ-ებს

1. ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის“ (ს.კ 243918098) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 69.08.58.209.01.505) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე .

2. ა(ა)იპ საზოგადოება „ბილიკისათვის“ (ს.ნ. 217889300) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ 69.08.58.260.01.500) 229.44 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ.

სახელმწიფო მთავრობის 17.04.2025წ. №677 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ძირითადი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება:

1. ს/კ 69.08.58.209.01.518 - ხაშურში, ტაბიძის ქ. 2 ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 46,80 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

2. ს/კ 69.08.58.209.01.519- ხაშურში, ტაბიძის ქ. 2 ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 11,78 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 14.03.2025წ. №1/1-1379 ბრძანებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ, საკუთრებაში განსაკარგავად, გადმოგვეცა ავტომანქანა TOYOTA HILUX (სახელმწიფო ნომერი GE-274-BP).

განახლების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 18 ობიექტი, ასევე, დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

დაწყებულია საქმისწარმოება:

1. შპს „სელფი მობაილ“-ისთვის (ს.ნ 204450584) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფართის გადაცემის შესახებ.

2. სს „სილქნეტი“-სათვის (ს/კ 204566978) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძების ნაწილის (ინტერნეტ ქსელის მოწყობის მიზნით) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, აქტიური თანამშრომლობის შედეგად, დაწყებულია საქმისწარმოება ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 35 ოჯახზე მათ მიერ დაკავებული ფართის საკუთრებაში გადაცემის პროცედურა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

ავთანდილ ტაბატაძე,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარების სამსახურის

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის

განყოფილების ხელმძღვანელი

გამოცხადდა განმეორებითი, უპირობო აუქციონი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა VAZ 21214 (სახ. ნომრით SS-386-HH) პრივატიზებისთვის

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ №669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 დეკემბრის №64 განკარგულების „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა VAZ 21214 (სახ. ნომრით SS-386-HH) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, გამოცხადდა განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის VAZ 21214 (სახ. ნომრით SS-386-HH) პრივატიზებისათვის. ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალზე www.eauction.ge საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდა 25%-ით და განისაზღვრა 2700 (ორიათას შვიდასი) ლარით, საგარანტიო თანხა (ბე) განისაზღვრა საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 540 (ხუთასორმოცი) ლარს, ბიჯის ოდენობა განისაზღვრა 100 (ასი) ლარის ოდენობით. განმეორებით ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, თუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე, სრულად ირიცხება ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

გამოცხადდა განმეორებითი, უპირობო აუქციონი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა TOYOTA COROLLA (სახ. ნომრით FF741HH) პრივატიზებისთვის

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ. ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ №669 დადგენილებისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 დეკემბრის №63 განკარგულების „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა TOYOTA COROLLA (სახ. ნომრით FF741HH) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, გამოცხადდა განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის TOYOTA COROLLA (სახ. ნომრით FF741HH) პრივატიზებისათვის. ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალზე www.eauction.ge საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდა 25%-ით და განისაზღვრა 4725 (ოთხიათას შვიდასოცდახუთი) ლარით, საგარანტიო თანხა (ბე) განისაზღვრა საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 945 (ცხრაასორმოცდახუთი) ლარს, ბიჯის ოდენობა განისაზღვრა 100 (ასი) ლარის ოდენობით. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, თუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე, სრულად ირიცხება ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

პატარა მოჭადრაკე დიდი მომავლით

„სანდრო,პოზიტიურიდათავმდაბალია,გამორჩეულადშრომისმოყვარე, მიზანდასახული, მაღალი ინტელექტით, ძლიერი საჭადრაკო თეორიული მახსოვრობით, მისი ასაკისთვის მაღალ დონეზე ფლობს დაბოლოებებს, აქვს ძალიან საინტერესო და არაორდინალური ტაქტიკური ხედვა“-ასე აფასებს 11 წლის ალექსანდრე აკოფაშვილს, საერთაშორისო დიდოსტატი ალექსანდრე შანავა. ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი კი, ადევნებს თვალს მის საჭადრაკო კარიერას და წარმატებებს. ამ წარმატების უკან, დიდი შრომა, მონდომება, სანდროს უნარები და ოჯახის დიდი თანადგომა დგას. ჯერ მხოლოდ თერთმეტი წლისაა და უკვე დიდოსტატობაზე ფიქრობს, დღის განმავლობაში ოთხი საათი მეცადინეობს და სრული პასუხისმგებლობით იაზრებს იმ სირთულეებს, რასაც მიზნამდე მიყვანა შეუძლია. დედა სულ მის გვერდითაა, ყოველდღიური საჭადრაკო რუტინა აქვთ, ერთად გადიან სასწავლო და სატურნირო პროცესებს.

-სანდრო, შენი პირველი გადაკვეთა ჭადრაკთან როდის მოხდა?

-ჭადრაკის ინტერესი სკოლიდან წამოვიდა, ჭადრაკის წრეზე მივედი, იმდენად დამაინტერესა, სპორტსკოლაში, ალექსანდრე ჭადაშვილთან მივედი. მთლიანად გადავერთე ჭადრაკში, მათემატიკური უნარებიც დამეხმარა და დღეს, ჩემი სამომავლო გეგმებიც ჭადრაკს უკავშირდება.

-რა იყო ყველაზე დიდი მოტივაცია, თავდაპირველად?

ნინო კურტანიძე, სანდროს დედა:

-აღმოსავლეთი ლიგა ჩატარდა გასულ წელს, სანდრო იყო ამ თამაშის აღმოჩენა, ცხრა ტურიანი შეხვედრა იყო და აქედან, ექვსი მოგება ქონდა, თავისზე მაღალი რანგის მოთამაშეებს მოუგო. იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, როგორც მოჭადრაკე, მასწავლებლის შემოთავაზება და რჩევა იყო, დიდოსტატთანგაგვეგრძელებინა პარალელურად მომზადება.



-პირველი თამაში რომ გავიხსენოთ, რომელიც უკვე გაცდა შიდა ტურნირებს...

-ეს იყო ბათუმის ტურნირი, ხაშურის სპორტის სამსახურის დაფინანსებით ვიმყოფებოდით, მიუხედავად იმის, რომ ეს ტურნირი ძალიან კარგი შედეგით ვერ დავასრულეთ, კარგი სტარტი აღმოჩნდა, სერიოზულად დავინტერესებულიყავით და უკვე დიდოსტატთან გაგვეგრძელებინა მუშაობა. მადლიერება მინდა გამოვხატო, ალექსანდრე ჭადაშვილის მიმართ, რომელმაც მე, როგორც მშობელს, მასწავლა, როგორ უნდა განმევითარებინა ბავშვი ამ სპორტში, როგორი ჩართულობა მქონოდა, დავიწყე ყველაფრის შესწავლა. ამ ეტაპზე, დიდოსტატთან 16 გაკვეთილი გვაქვს თვეში, რაც დიდ ფინანსურ ძალისხმევას მოითხოვს ჩვენი მხრიდან, თუმცა, წარმატებამაც არ დააყოვნა. საერთაშორისო ტურნირზე ორჯერ ვიყავით და ორივეჯერ პრიზიორი წამოვიდა სანდრო. პედაგოგიური უნარები ძალიან მადგება, სანდროს დასახმარებლად. მიუხედავად იმის, რომ ჭადრაკის თამაში არ ვიცი, სანდროსთან ერთად გავდივარ ყველა თეორიულ სწავლებას.

გარდა ჭადრაკის, სანდრო, მესამე კლასში დამყავდა მენტალურ არითმეტიკაზე, სადაც ორჯერ იყო საერთაშორისო ოლიმპიადის მონაწილე(ონლაინ) და ორივეჯერ პრიზიორი იყო. თავიდან ბოლომდე თავის უნარებს იყენებს, ვცდილობ, ვაკონტროლო, რომ ოთხი საათი დაუთმოს მეცადინეობას დღის განმავლობაში.

-სანდრო, მომიყევი, რა ემოციაა, როცა მოწინააღმდეგესთან ასპარეზობისთვის ემზადები და შემდეგ, უკვე, როცა წარმატებას აღწევ?

-თავიდან ვნერვიულობ ხოლმე, მაგრამ როცა უკვე ვიგებ პარტიას, ძალიან დიდი სიხარული მეუფლება, რაც კარგად მოქმედებს შემდეგ თამაშებზე. როცა თამაში დავიწყე, თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ახლა გადავლახე ეს მდგომარეობა, რადგან ვიცი, რომ თამაშს ხელს ძალიან უშლის ნერვიულობა, გადაღლა, უძილობა, ვცდილობ, ფსიქოლოგიურადაც მოვემზადო ხოლმე.

-ტურნირის წინ, თუ ეცნობი შენი მოწინააღმდეგის სტრატეგიას, თამაშის სტილს?

-ტურნირის წინ, რამდენიმე ბავშვს მოვიაზრებ ხოლმე ჩემს კონკურენტად და გარდა იმის, რომ ვეცნობი მათ თეორიებს, ვცდილობ, ვიაზროვნო, ჩემი სტილით ვითამაშო და დრო გავანაწილო.

-ყოფილა შემთხვევა, როცა თითქმის წაგებული თამაში, შენკენ შემოგიტრიალებია და მოგიგია?

-თბილისის ტურნირზე იყო, სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა თამაში, ორი პაიკით ვაგებდი და ვფიქრობდი, ფრედ დამემთავრებინა, მაგრამ მაინც მოვიგე. ჭადრაკი ისეთი სპორტია, შეიძლება უპირატესობას ფლობდე, მაგრამ მაინც წააგო.

-შენი სამომავლო არჩევანი დიდოსტატობაა, ეს გადაწყვეტილება ჭადრაკის სიყვარულმა მიგაღებინა?

-ჭადრაკში ყველაზე დიდი სტატუსი საერთაშორისო დიდოსტატობაა, ბავშვებიც შეიძლება ატარებდნენ ამ სტატუსს. გარკვეული რეიტინგებია გასავლელი, რომ ეს სტატუსი მოგენიჭოს და ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის.

-ჩეხეთის ტურნირზე როგორ მოხვდით?

ნინო კურტანიძე:

-მშობელმა მომაწოდა ინფორმაცია და რამდენიმე ქართველი წავედით, ძალიან კარგი გამოცდილება იყო. ბ კატეგორიაში ვითამაშეთ, ამ კატეგორიაში გამოარჩიეს რამდენიმე 12 წლამდე ბიჭები, სანდროს შეხვდა მეორე ადგილი, მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამოვრჩით.

სანდრო აკოფაშვილი:

-როდესაც საქართველოში ვთამაშობ, ვიცნობ მოთამაშეებს, მათი სტილიც ვიცი, ჩეხეთი სხვა გამოცდილება იყო ჩემთვის.

-ყველაზე დიდი მეტოქე რამდენი წლის იყო?

-60 წლის იყო და მოვიგე.

-დიდოსტატის შეფასება როგორია?

-სულ მირჩევს, ამოვიცნო მეტოქის სურვილები და სტრატეგია, არ ვიჩქარო და ბევრი ვიფიქრო. მენტალურმა მათემატიკამ, სწრაფ გადაწყვეტილებას მიმაჩვია, მაგრამ ვცდილობ, დროის განაწილება ვისწავლო.

-ძალიან სასიხარულოა სანდროს წარმატებები, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული როგორც მომზადება, ასევე ტურნირებში მონაწილეობა. როგორ ართმევთ თავს?

ნინო კურტანიძე:

- ნამდვილად. მთელი ოჯახი ვართ ჩართული, როგორც მორალურად, ასევე, ფინანსური მხარდაჭერისთვის. ერთ-ერთ ტურნირზე, ქუთაისში, ხაშურის სასპორტო სკოლამ დაგვაფინანსა. ახლა, იმ ეტაპზეა სანდრო, აქტიურად ჭირდება საზღვარგარეთ ტურნირებში მონაწილეობა, რაც დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული და მხოლოდ ჩვენი ძალებით, ეს წარმოუდგენელია. არ არსებობს საქართველოს არც ერთი ტურნირი, სადაც მონაწილეობა არ მიგვიღია. ყოველთვიური წვრთნები, ტურნირები-გზა, მონაწილეობა, სხვა ხარჯები საკმაოდ დიდია. ძალიან გამიხარდება, თუ გამოჩნდება ადამიანი, რომელიც თუნდაც ერთ ტურნირს დაგვიფინანსებს, ესეც ძალიან დიდი მხარდაჭერა იქნება სანდროს მომავლისთვის.

-სანდრო, ვინაა შენთვის ყველაზე ავტორიტეტული მოჭადრაკე?

-გამორჩეული არ მყავს, მაგრამ გამოვარჩევდი მაგნუს კარლსენს, რომლის სტილიც უფრო ახლოსაა ჩემთან.

ნინო კურტანიძე:

-სანდრო დადის ჯოჯუას საჭადრაკო სკოლაში, ყოველ შაბათს ჩავდივართ. ამ ბოლო პერიოდში, განსაკუთრებული მონდომებით მეცადინეობს. ცოტა ხნის უკან, თბილისში ითამაშა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიგო, რეგიონალურ ჩემპიონატზე პირველი ადგილიც ავიღეთ-დაუმარცხებელია შიდა ქართლის მასშტაბით.

ჩვენი გაზეთის სახელით, წარმატებულ მომავალს ვუსურვებთ პატარა მოჭადრაკეს, რომელსაც დიდი და ქვეყნისთვის საამაყო გეგმები აქვს. გამოვთქვამთ იმედს, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც სანდროს წარმატებაში სულ მცირე ფინანსურ მხარდაჭერას გამოხატავენ, სანდროს და ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებისთვის.

თ. ჯავახიშვილი

ოსტატი, რომლის ხელშიც თიხა მღერის

ვაზი, ღვინო, თიხა - ეს ტრიადა ქართველი კაცის ყოფასთანაა გადაჯაჭვული. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციას, რომელიც 8000 წელს ითვლის, 2013 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. საქართველოში უხსოვარი დროიდან აწარმოებდნენ თიხას, რომლის დასტურია არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი უამრავი კერამიკული ნაკეთობა,

რომლებიც მნახველს თავისი სინატიფითა და მშვენიერებით აოცებს. ყველა ოჯახში შეხვდებით ტრადიციულ ქართულ სასმისებს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ გემოვნებით შერჩეული სასმისი ყოველთვის იდეალური საჩუქარია ნებისმიერი მოვლენის დროს, დაბადების დღე იქნება ეს, თუ სხვა დღესასწაული.

ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, როცა ბევრი ხელობა მივიწყებას მიეცა, ჩვენთვის ნადვილი აღმოჩენა იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში

თიხის ოსტატის არსებობა. სასიამოვნოდ გაოცებულები დავრჩით, როდესაც საოჯახო საწარმოს ვესტუმრეთ.

ზურაბ გონგლაძე თითქმის 20 წელია, რაც თიხის ნაკეთობებს აწარმოებს. „ქართული სუვენირების“ სახელწოდებით, ეკოლოგიურად სუფთა თიხისგან დამზადებული სასმისები: ყანწი, ფიალა, ქვევრი, ორშიმო, დოქი, საწნახელი, ხანჯალი უკვე ქართულ ბაზარზე საკმაოდ ცნობილია და საზღვარგარეთაც იგზავნება.

ეზოში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ აქ გამრჯე, ოქროსხელება ადამიანები ცხოვრობენ. მასპინძლებმა ჯერ მამაპაპეული მარანი დაგვათვალიერებინეს, რომელიც ზურას მიერ არის განახლებული და წარმოდგენას გიქმნის იმ ღირსეულ წინაპრებზე, რომელთაც ასევე ღირსეული შთამომავალი დატოვეს.

ვინაიდან მამა, ამირან გონგლაძე, ახალგაზრდა გარდაიცვალა, დედას და შემდეგ ვაჟიშვილს მოუწიათ ოჯახის ტვირთის ზიდვა და დებზე ზრუნვა.

გულდასმით ვათვალიერებთ თიხის საწარმოს, რომელიც მთლიანად

ოსტატის ხელითაა შექმნილი, მხოლოდ საკუთარი ხარჯებით და არანაირი გრანტით. რომ აღარაფერი ვთქვათ გემოვნებასა და ნიჭიერებაზე, ჩვენი მასპინძელი განათლებული, საინტერესოდ მოსაუბრე ადამიანი აღმოჩნდა. პროფესიით მხატვარია. დაამთავრა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. წლების განმავლობაში ხატავდა. მისივე ხელით შექმნილი ჩარჩოებიდან საკმაოდ საინტერესო პეიზაჟები გვიმზერენ. მოგვიანებით თიხის წარმოებით დაინტერესდა. თვითონ შექმნა ყველა დანადგარი, ღუმელი, გამწოვი. ყალიბებსაც საკუთარი ორნამენტებით ამზადებს. პირველ საამქროში თიხის დამუშავება მიმდინარეობს, ყალიბებში ისხმება, შრება და გამოსაწვავად მზადდება. მეორე სახელოსნოში ვინაცვლებთ, სადაც თიხის მოხატვა ხდება. ამ საქმით ძირითადად მეუღლეა დაკავებული. ნინო ლურსმანაშვილი წარმოშობით ქუთაისიდანაა, დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი. ბედმა მომავალ მეუღლეს დააკავშირა და სამ შვილს უზრდის მამულს, ტრადიციული ღირებულებების პატივისცემით. მეგობარიც არის, მრჩეველიც. და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ყველა ძლიერი მამაკაცის ზურგსუკან ძლიერი ქალი დგას.

მესამე სახელოსნოში ხის სადგამები და საკიდები მზადდება. სავაჭრო სახე მიეცემა მზად არის სადისტრიბუციოდ. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, 200-მდე მაღაზიაში, განსაკუთრებით ტურისტულ ზონებში, სადაც სპეციალური სდენდებიც კი აქვს დათმობილი „ქართული სუვენირების“ პროდუქციას. დანარჩენი ოჯახის წევრებიც მეტ-ნაკლებად არიან ჩართულები ოჯახურ მეურნეობაში, ვინაიდან უფროსები სტუდენტები არიან, უმცროსი გიორგი ბეჯითად ცდილობს, მშობლებს დაეხმაროს, ჩუქურთმების გამოყვანას სწავლობს.

წარმოებისთვის ქსნის თიხას იყენებენ, თუმცა ალშიც გვქონია უნიკალური თიხის საბადო, სადაც აგურს, კრამიტს, თონეებს, დოქებს, კეცებს და სხვა ჭურჭელს ამზადებდნენ. სწორედ ალის თიხის აგურით შენდებოდა სახლები. დღესდღეობით ეს ხელობა მივიწყებულია, თუმცა შემორჩა ერთი-ორი ოჯახი, კარგი იქნება, თუ ვინმე ჩაუდგება ამ საქმეს სათავეში და ძველ ტრადიციულ რეწვას ააღორძინებს. თავად უდიდესი სურვილი აქვს, ახალგაზრდებს ეს ხელობა შეაყვაროს და შეასწავლოს. მზადაა კიდეც დაასაქმოს.

საწარმოს მუშაობაში ზურას დებიც არინ ჩართულები და ვინაიდან საოჯახოა, ამითაცაა გამორჩეული. აქ იკერება ბოთლის შესამოსი პატარა და მინიატურული ჩოხები, რადგან ბაზარმა ამის საჭიროება მოითხოვა, ჩოხების კერვა ზურას უმცროსმა დამ შეისწავლა და თავისი ხაზი აქვს.

დღეს, როცა ბაზარი გაჯერებულია იმპორტული საქონლით, ზურას ნაწარმი უკონკურენტოა. რომ არა სამშობლოს და მშობლიური ფუძის სიყვარული, ყველგან წავიდოდა. ცოდნის გარდა, არაფრის წაღება არ დაჭირდებოდა, საკუთარი ხელობით სხვაგან უკეთესი შემოსავალი ექნებოდა, მაგრამ სამშობლოში დარჩენა არჩია.

ალბათ ყველას გახსოვთ სიტყვები კარგად ცნობილი ძველი ქართული ფილმიდან: „გესმის, ბიჭო, მღერის, თიხა მღერის“. დიახ, ათვალიერებ თაროზე გამწკრივებულ ულამაზეს ნაკეთობებს და რწმუნდები, რომ ასეთ უჩინარ გმირებზე დგას ქვეყანის სიძლიერე. მართლა გრძნობ, როგორ მღერის თიხა ნიჭიერი ოსტატის ხელში.

ირინა გოგიტაური,

ფოტოზე: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი სტუმრად საოჯახო მეურნეობაში

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.